

JEL Classification: Q0, Q1, O2

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.022>

# DEVELOPMENT OF COOPERATIVE AGRO-CREDIT SYSTEM IN GEORGIA

**PAATA KOGUASHVILI****Doctor of Economic Sciences, Professor**

Georgian Technical University, Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Georgia

paata\_koguashvili@hotmail.com

**DAVID MAMUKELASHVILI****Doctor of Economics, Georgia**

dmamukelashvili@gmail.com

**Abstract.** The work deals with the progressive system social and economic changes to be implemented in the given historical period in Georgia, which are based on the fundamentally different approaches to the economic policy. This is to lead an intensive rise in the population's income and in the national production output, mass employment and will ensure the formation of an environment targeted to a long-term development of entrepreneurship.

A special role for the social-economic development of a society is ascribed to the use of inclusive forms of entrepreneurship, which conditions, in turn, the necessity of the cooperation sector development – an important component of the modern economy. The cooperation projects proper have the viability and sustainability basis, which, together with economic self-government, is conditioned by the high level of production concentration. Only by mass production (through reduction of prime cost, generation of added value in the uniform production cycle, constant, effective rather than impulsive operation). It would be possible to ensure competitive production and accumulation of a definite part of revenues from its sales for reproduction, without which the economic system development and the spill-over effects could not be achieved. Therefore, cooperation projects have objective bases of real viability and sustainability. The advantage of the given model consists in a complex nature of the main directions, ensuring thus the best conditions for approaching the optimum functioning of enterprises.

The future of the Georgian village depends on the correct analysis and assessment of the key problems, without which the establishment of progressive views concerning its development and the working out of relevant projects would be impossible. The finding out of an organizational and legal form, most complying with the social and economic mission of the State in the village most prioritized in terms of the governmental support is of vital importance in the proper policy establishment.

The work deals with the impact of agricultural cooperation and cooperative agro credit system on the entrepreneurial development of the population directly engaged in the agricultural sector and agricultural production. It also considers the major grounds for the development of agricultural cooperation in Georgia, describes the current economic state of the local agricultural production and rural population and makes an analysis of the increased migration causes and the organizational setup of agricultural activity. Thanks to analysis of the current social-economic state in Georgia and the experience of the successful countries, it is proved that the entrepreneurial activation of the population is best achievable by an active support of the cooperative sector, which will be directly reflected in the reforms to be implemented in the country regions and by using diverse forms of cooperation will enable mass employment of the population and intensive raising of national production output. A special and irreplaceable role of agricultural cooperation in overcoming rural poverty, in the stepping up of the entrepreneurial activity of the population and in implementing the complex process of forming a healthy middle class has been justified.

The legal regulation of the agricultural cooperation process and the industrial regulations represent the main component identifying the organizational form of an agricultural cooperative, because the introduction of these rules proper creates an economic environment, in which a high degree of return of the labour resources of the population directly engaged in the agricultural production rather than the prospects of gaining dividends from the material resources contributed to the share fund represents the factor determining the rural entrepreneurial activity. The industrial regulations of the cooperative system represent the basis for minimizing the production risks, rising economic efficiency, stability and viability.

The Georgian village owing to disregard and improper social-economic policy carried out for years has found itself in a very humble state. Under such conditions, the recovery by the complex and dissimilar system without the respective protective mechanisms and support is impracticable. Therefore, the establishment of a qualitatively new policy of inclusive social-economic development in respect to existing circumstances is a must, for which the inside and outside poverty-determining factors should be identified and the mechanisms of overcoming them be worked out. For conducting a viable national policy

should be categorically defined that the hard economic standing of the rural population at the current stage is a problem of special urgency and the national policy should be mostly based on the given reality. For this, the special impact of agricultural cooperation and of cooperative agro credit system on the country's development should be adequately thought out, and the State should, like many developed countries, undertake and fulfil the coordinating, organizing and supporting function of the sustainable and forced development of this system.

**KEYWORDS:** SMALL POPULATION, ENTREPRENEURIAL ACTIVATION, ECONOMIC CHANGES, PROCESS COORDINATOR, AGRICULTURAL COOPERATION, AGRO-CREDIT SYSTEM.

**For citation:** Koguashvili, P., Mamukelashvili, D. (2020). Development of Agro-credit System in Georgia. *Globalization and Business*, 10. 180-184. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.022>

JEL Classification: Q0, Q1, O2

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.022>

## კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში

### პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

[paata\\_koguashvili@hotmail.com](mailto:paata_koguashvili@hotmail.com)

### დავით მამუკელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველო

[dmamukelashvili@gmail.com](mailto:dmamukelashvili@gmail.com)

**საკვანძო სიტყვები:** მცირემიწიანი მოსახლეობა, სამეწარმეო გააქტიურება, ეკონომიკური ცვლილებები, პროცესის მაკოორდინირებელი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, აგროსაკრედიტო სისტემა.

**ციტირებისთვის:** კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. (2020). კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №10, გვ. 180-184. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.022>

საქართველოსთვის არსებულ ისტორიულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუნდამენტური ეკონომიკური ცვლილებები – რეფორმები, რომელიც განაპირობებს სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის დასაქმებას, სოფლად სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებას და ადგილებზე გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირობების ჩამოყალიბებას.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, საქართველოში მიწით მოსარგებლეთა 75% ფლობს ერთ ჰექტარზე ნაკლებ მიწის ფართობს, რომელიც ხშირ შემთხვევაში დანაწევრებულია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 48% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, სადაც ინვესტიციების დონე განსაკუთრებით დაბალია.

არსებულ პირობებში, მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების, მასობრივი დასაქმების, წარმოების ინტენსიური ზრდის და სიღარიბის დაძლევის რთული პროცესის განხორციელებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან ერთად, აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის სამეწარმეო განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას კრედიტებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. კომერციული ბანკების მხრიდან მცირემიწიან და დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე კომერციული კრედიტების გაცემა, მაღალი საპროცენტო განაკვეთების და შესაბამისი საგარანტიო უზრუნველყოფის დეფიციტის გამო, უადრესად გართულებულია. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში

სოფლის მოსახლეობის კრედიტებით უზრუნველყოფისათვის კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სადაც სამეწარმეო საქმიანობის კოოპერაციული მოდელი და კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობები წარმოადგენს კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შემცირების განმსაზღვრელ ფაქტორს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო დარგების გაძლიერებისათვის აუცილებელია:

1. კოოპერირების გზით, უშუალოდ პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლის ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული სისტემის ფორმირება;

2. კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა წარმოადგენს აგრარულ სექტორში ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის მიზანმიმართული პოლიტიკის მექანიზმს, რომლის დანიშნულებაც მისი წევრების შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიანობის გაზრდა. იგი მიიღწევა დაკრედიტების შეღავათიანი და გამარტივებული პირობებით, მცირე საპროცენტო განაკვეთით, სოლიდარული პასუხისმგებლობით, ურთიერთნდობითა და კორუფციული გამოვლინებების აღმოფხვრით. კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა გამოირჩევა სპეციფიკური თავისებურებებით და მისი წარმატება განპირობებულია უშუალოდ ამ სისტემისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებით.

კოოპერაციული ტიპის აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირებით იქმნება მყარი საფუძველი ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსების ეფექტური სისტემის არსებობისათვის. განვითარებული ეკონომიკის არაერთი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ამ სისტემის ფორმირების პროცესში სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე), წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირება დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით. მისი მთავარი კომპონენტებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემა და კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი, რომლის შესაქმნელად განსახორციელებელია რიგი წინასწარი ღონისძიებები, რაც უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის კანონით დადგენილი კოოპერაციული შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების დაცვა და მეპაიეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ქმნის სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის და საბანკო კრედიტის გაიოლებული ფორმით გაცემის შესაძლებლო-

ბას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეები კარგად იცნობენ ერთმანეთის საქმიანობას და სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ისინი თავად ახდენენ ბეწოლას ცუდ მსესხებლებზე.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის დამახასიათებელი ნიშნებია:

- ორი სფეროს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და საბანკო საქმის საუკეთესო პრაქტიკის ერთ სისტემაში გამოყენების შესაძლებლობა;
- კრედიტების გაცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და აგრო-სამრეწველო დანიშნულებით;
- კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის ობიექტს ამ კრედიტით შექმნილი აქტივები წარმოადგენს;
- კარგი საკრედიტო ისტორიის შემთხვევაში, კრედიტების მოცულობის და დაფარვის ვადის პირობების გაუმჯობესება, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე;
- კრედიტების მიმღები კოოპერატივების საკრედიტო ისტორიის შექმნა და კრედიტების მოცულობის და დაფარვის ვადის ეტაპობრივი ზრდა;
- ორიენტირება საშუალო და გრძელვადიან კრედიტებზე;
- გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების რეინვესტირება ბანკის რეზერვებში, რაც პერმანენტულად ზრდის ბანკის საკუთარ კაპიტალს;
- ძალაუფლების ძლიერი კონცენტრაცია;
- გაცემული კრედიტების მონიტორინგი;
- საკრედიტო მომსახურების ეტაპობრივი დივერსიფიცირება;
- კრედიტების გაცემის გამარტივებული პროცედურები.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ფორმირებაში გამოყენებული იქნება „ქვემოდან-ზემოთ“ კოოპერაციული მეთოდი, რითიც იგი, წინასწარ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაამყარებს წინასწარობას ქვემოდან განვითარებასა და ზემოდან კონტროლს შორის, კოოპერაციული საფუძვლებისა და მაღალპროფესიული საბანკო საქმის წარმოების თავიდანვე დანერგვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

პირველი დონის კოოპერატივები ახდენენ საკრედიტო განაცხადების პირველად ანალიზს და შერჩეულ პროექტებს უგზავნიან კოოპერაციულ აგროსაკრედიტო ბანკს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

გასათვალისწინებელი რისკებია:

- კრედიტის მიმღები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ შიდასაწარმოო ურთიერთობების კანონმდებლობით დადგენილი წესების დაუცველობა;
- კრედიტების დაბრუნების შედარებით ხანგრძლივი პერიოდი;
- დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე;
- გაცემული კრედიტების არამიზნობრივი გამოყენება;
- კრედიტის მიმღების დაბალი კვალიფიკაცია საწარ-

მოო-ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ საკითხებში.

საბანკო მომსახურების პროდუქტია:

- მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხები ფერმერებისთვის, რომლის გაცემის პირობები დამოკიდებულია სესხების დაფარვის წარსულ შედეგებზე.

დამატებითი საბანკო პროდუქტებია:

- სამომხმარებლო კრედიტები;
- იპოთეკური კრედიტები;
- კრედიტები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აფუძნებენ რეგიონულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ გაერთიანებებს სადაც მას ჰყავს თავისი წარმომადგენლები.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი დაფუძნებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგიონალური გაერთიანებების მიერ, რომელთა წარმომადგენლების საერთო კრება ირჩევს ბანკის პრეზიდენტს (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), ვიცე-პრეზიდენტს (თავმჯდომარის მოადგილეს), სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობას.

ბანკის გამგეობა შედგება სამი დირექტორისგან, მათ შორის გენერალური დირექტორი, რომელიც ირჩევა საერთო კრების მიერ და პასუხისმგებელია ბანკის მართვასა და საოპერაციო ღონისძიებების შესრულებაზე.

ბანკის მონიტორინგისა და აუდიტის კომიტეტი შედგება რეგიონალური კავშირების მიერ არჩეული წევრებისგან. მას ევალება ბანკის რევიზია, რომლის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს საერთო კრებას.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდება როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებით.

კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს როგორც სესხის ინსტრუმენტებს, ასევე თავდებობის ფუნქციას. ასეთ სესხს გააჩნია კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო დაბალი საგარანტიო უზრუნველყოფის მოთხოვნილება და უფრო გრძელი დაფარვის ვადა, გადახდები კი როგორც წესი, მიბმულია დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან. ამგვარი სესხის დაფარვის პირობებში გათვალისწინებული იქნება ზრდადი საპროცენტო განაკვეთი და ე.წ. როიალტი (შემოსავლებთან ან მოგებასთან მიბმული გადახდები).

კრედიტის გაცემაზე და პირობებზე ბანკის გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის განვითარების მაკოორდინირებელი და მართვანიზებელი ორგანოს რეკომენდაცია ბენეფიციარი კოოპერატივის საქმიანობის შესახებ, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად იცავს კოოპერატივი კანონით დადგენილ შიდასაწარმოო ურთიერთობების წესებს. სააგენტოს რეკომენდაცია თავის მხრივ ემყარება კონკრეტული კოოპერატივის საქმიანობის

შესახებ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში მონიტორინგისა და აუდიტის დასკვნებით მიღებულ მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო დამატებით განახორციელებს ბენეფიციარი კოოპერატივის მონიტორინგს.

თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კარგად მუშაობს, ანუ თუ მისი კრედიტის დაფარვის შესაძლებლობა მაღალია, მაშინ მას შეუძლია მიიღოს გაზრდილი კრედიტი შემცირებული საპროცენტო განაკვეთით და ისჯება მაშინ, როცა მისი რომელიმე წევრი არ ფარავს თავის დავალიანებას. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ვერ იფარება, კოოპერატივის სხვა წევრები ვერ იღებენ დამატებით კრედიტს. მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ, ახალი კრედიტების საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე კოოპერატივების მიერ მათი ვალდებულებების პირნათლად შესრულების შემთხვევაში. ასეთი სისტემის არსებობის პირობებში ბანკი შექმნის სოლიდარული პასუხისმგებლობის ძლიერი ფუნდამენტი, რაც განაპირობებს ვალდებულებების დაფარვის მაღალ მაჩვენებელს.

ასეთი ფორმით შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლების საკრედიტო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემა, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის განვითარების მაკოორდინირებელი და მართვანიზებელი ორგანოსა და კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკის მიერ, რადგან არსებულ პირობებში მხოლოდ მათი ორგანული ტანდემი განაპირობებს თითოეული მათგანის არსებობის მიზანშეწონილობას და წარმატებით ფუნქციონირებას. შესაბამისად, მათი არსებობა ცალ-ცალკე, მოკლებულია ობიექტურ საფუძველს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესის სამართლებრივი რეგულირებისა და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესების დანერგვით იქმნება ეკონომიკური გარემო, სადაც სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სახსრებით დივიდენდების მიღების პერსპექტივა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის შრომითი რესურსების უკუგების მაღალი ხარისხი. სწორედ ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ აგროსაკრედიტო სისტემას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლად სიღარიბის დაძლევის, მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების და სწრაფი ეკონომიკური ზრდის რთული პროცესის განხორციელებაში.

სახელმწიფო მხარდაჭერის და რეგულირების სისტემაში ახალი კომპონენტების დანერგვა ქმნის ეკონომიკურ პირობებს და ინსტიტუციონალურ საფუძველს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.

## ლიტერატურა/REFERENCES

- Cervera, E., Tudela, L., Cano, A., & Guzman, S. (2017). *Capacity Building to the Agriculture Cooperatives Development Agency (ACDA)*. 04/2017, Project Number: Europe Aid/136454/DH/SER/GE.
- Koguashvili P. (2017). Investment system for financial support of cooperatives. *Journal of New Agrarian Georgia*. N4. (In Georgian)
- Mamukelashvili D. (2017). Legal regulation of agricultural cooperatives and rules of internal relations (training module). *EU funded project*. Europe Aid/136454/DH/SER/GE, 29/05/2017. (In Georgian)
- Law of Georgia on Agricultural Cooperatives.12/06/2013. (In Georgian)